



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #021/13¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

მარიამ ბეკოშვილი (სტუდენტი)

შეკითხვა:

არის თუ არა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რომელიმე ნორმის/ნორმების დარღვევა, როცა ადვოკატი დასრულებული სისხლის სამართლის საქმეების ორდერებს გაასაჯაროებს ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე?

ანალიზი:

აპეკ-ის 4.1 მუხლი განსაზღვრავს თუ რა არის კონფიდენციალობის ვალდებულება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილით: „კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში“.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 01 თებერვლის გადაწყვეტილებით განსაზღვრულია ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ადვოკატის ორდერი. კერძოდ: იურიდიული ფირმის, ბიუროს, ადვოკატის დასახელება, მისამართი, ორდერის გაცემის თარიღი; ბ) დოკუმენტის დასახელება - ორდერი; გ) ადვოკატის სახელი, გვარი, სითითი ნომერი; დ) იურიდიული პირი - სახელწოდება, რეგისტრაციის ნომერი; ე) დავალების შინაარსი (უნდა მოიცავდეს საპროცესო მოქმედებას და მათი შესრულების ადგილს ან ორგანოს) ვ) ორდერის გამცემი პირის ხელმოწერა ზ) ორდერის მოქმედების ვადა.

ორდერი, რომელიც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილ მხოლოდ მინიმალურ რეკვიზიტებს შეიცავს არ წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. შესაბამისად, ადვოკატს შეუძლია საადვოკატო საქმიანობაში, მისი პროფესიული გამოცდილების დასადასტურებლად, დასრულებული სისხლის სამართლის საქმეებზე გაცემული ორდერების წარდგენა. კონფიდენციალურ ინფორმაციად არ მიიჩნევა ორდერში აღნიშნული მხოლოდ სავალდებულო რეკვიზიტები. ადვოკატმა არ უნდა გაასაჯაროვოს ორდერი, რომელიც პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა.

დასკვნა:

ორდერში აღნიშნული ინფორმაცია, რომელიც შეიცავს მხოლოდ მინიმალურ რეკვიზიტებს და მასში არ არის აღნიშნული სხვა სახის ინფორმაცია, შესაძლებელია წარედგინოს ადმინისტრაციულ ორგანოს.

¹ <https://www.gba.ge/pdf/5c7fc1c4cc89e.pdf/15%20February%202014%20021.13.pdf>